№ 233
ხუთშაბათი, 3 ნოემბერი 1894

გაზეთი ღ..ს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 233
ხუთშაბათი, 3 ნოემბერი 1894

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

ამ ნომერში თორმეტი გვერდია

**იაკობ სვიმონის ძე და ანნა იაკობის ასული პავლიაშვილები და დეკანოზი დავით გრიგოლის ძე ჭრელაშვილი დებითურთ** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ 4 ამა ნოემბერს, დილის 10 საათზედ ქაშვეთის ეკკლესიაში—გარდახდილ იქმნება ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის **სალომე გრიგოლის ასულის პავლიაშვილის** სულის მოსახსენებლად. (1—1820—1)

**თავადი ნიკოლოზ ბიძინას ძე ერისთავი** აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა, რომ 7 ამა ნოემბერს, დილის ათს საათზედ, სოფ. იკორთის (გორის მაზრა) ეკკლესიაზედ გარდახდილ იქმნება ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის **თავად მიხეილ ბიძინას ძის** სულისმოსახსენებლად. (1—1831—1)

## დეპეშა

(ჩრდილოეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 ნოემბერი

**პეტერბურგი.** სატახტო დედა-ქალაქის ქუჩებმა იმპერატორი ალექსანდრე III დასაფლავების დღისთვის სამგლოვიარო სახე მიიღო; ყველაზედ მდიდრული სამგლოვიარო მორთულობა ნევის პროსპექტსა და იმ გზასა აქვს, რომელზედაც უნდა გაიროს კორტეჟმა: სახლები შავით არის შემოსილი, ნევის პროსპექტზედ ყველა ფარნები შავად არის მოსილი, სამგლოვიარო პირამიდები და სვეტებია ამართული; მისის უდიდებულესობის კაბინეთის სასახლე მთლად შავით არის აფენილი. საელჩოების სახლებზედ ბაირაღები ნახევრად ჩამოშვებულია. დილიდგან დაწყებული დღეს პეტერბურგის ქუჩებზედ არა ჩვეულებრივი მოძრაობაა; ყველა მოწადინებული იყო სახლების სარკმლებთანა და ტროტუარებზედ ალაგი დაეჭირა; ქუჩის ფარნები შავებში ჰბეუტავდა; ქუჩებზედ ქვიშა და ნაძვის შტოებია დაყრილი. 10 საათზედ კორტეჟი ნიკოლაევის სადგურიდგან დაიძრა და 4 ვერსზედ იყო გაშლილი. კორტეჟში ნაწილი გვარდიისა, ყველა დაწესებულებათა წარმომადგენელნი, დიდებულნი და მინისტრები იღებდნენ მონაწილეობას. მეორე საათზედ პანაშვიდი გადიხადეს პეტრე-პავლეს ტაძარში, რის შემდეგაც ხელმწიფე იმპერატორი ანიჩკოვის სასახლეში მიბძანდა. სასახლესთან დიდძალი ხალხია.

31 ოქტომბერს, როდესაც ხელმწიფე იმპერატორი კრემლის დიდ სასახლიდან მთავარ-ანგელოზის ტაძრისკენ მიბრძანდებოდა, მიჰმართა მოსკოვის თავად-აზნაურობას, ვაჭრებს, მთავრობისა და საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენლებს და სთქვა: „სამწუხარო და საძნელოა ჩემთვის ეხლა ყოფნა მოსკოვში, რომელიც ჩემს დაუვიწყარს მამას ისე გულ-წრფელად უყვარდა; მაგრამ იმპერატრიცასი და ჩემი მანუგეშებელი ლოცვაა და ის ცრემლები, რომელსაც მთელი რუსეთი აფრქვევს ამ განსაცდელის ჟამს. შევვედრი უფალს, რათა მან მომანიჭოს ძალა ისევე ვემსახურო ჩვენს საყვარელს სამშობლოს, როგორც ემსახურა განსვენებული მამაჩემი, და მისგანვე ნაჩვენებ ბრწყინვალე და სხივოსანს გზაზე წარვმართო იგი.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზეთ „Temps“-ი ახლად გამეფებულის ხელმწიფე იმპერატორის შესახებ სწერს:

განსაკუთრებით სასიამოვნოდ მოსასმენია ახალგაზდა ხელმწიფის, უჩიცხვ მილიონთა მბრძანებლის, ბაგით ნათქვამი ის სიტყვები, რომ მე მშვიდობიანობის მტკიცედ და შეურყევლად დაცვას ვეცდებიო. ამას შემდეგ თავისი სიყვარული მშვიდობიანობისა სამხედრო მჭერმეტყველებაში გახვია. ევროპა მადლიერი იქმნება ხელმწიფე ნიკოლოზისა, რომ საყვირნი არ ახმაურა, რა საშუალებასაც ხშირად მაჰმართავენ ხოლმე სხვა ხელმწიფენი, და თუმცა ევროპას მშვიდ ვერ აუღია, მაგრამ ამ ხმაურობაში გამოსჩანს სამხედრო განზრახვა მოხმაურეთა და ისინი ხშირად მიზეზსაც აძლევენ, რომ ბევრი არა სასიამოვნო უთანხმოება ასტყდეს, რადგან წესად აქვთ გულ ზვავის და სამუქარო სიტყვების ხმარება.

იმპერატორმა ნიკოლოზმა დაამტკიცა, რომ იმას არა თუ არავითარი სამხედრო განზრახვა არა აქვს, არამედ სრულის საკსებით დაადგა იმ პოლიტიკას, რომელიც მშობლისაგან მიიღო სამკვიდროდ. მას მიერ საფრანგეთის პრეზიდენტთან წარგზავნილი დეპეშა მშვენიერი დამატებაა იმ მანიფესტისა, რომელიც რუსეთის ერს აუწყა. შეუერთა რა ფორმალურად საფრანგეთის ერი რუსეთის გლოვას, იმპერატორმა ნიკოლოზმა ერთბაშად განამტკიცა და განავითარა ის გულითადი თანხმობა, რომელსაც იქან მიჰმართავს.

**

გაზეთ „Figaro“-ში დაბეჭდილია ვრცელი წერილი საფრანგეთის ცნობილის მწერლის ...ხიორ დე-ვოგიუესი, რომელშიაც იგი აწ გარდაცვალებულ რუსეთის ხელმწიფე ალექსანდრე მესამეს ახასიათებს. ვოგიუე ამბობს, რომ განსვენებული ალექსანდრე მესამე ნამდვილი წარმომადგენელი იყო თავისს ეროვნებისაო.

ღირსეულად რომ შევიგნოთ და დავაფასოთ იგი, უნდა გადავიკითხოთ ტოლსტოის მიერ კუტუზოვის, მოსკოვის კუნქტატრის (წინდახედულის). საკვირველად დახასიათება, იმ კუტუზოვისა, რომელმაც დაიხსნა თავისი სამშობლო და ნაპოლეონის გენიოსობას აჯობა.“

შემდეგ ვოგიუეს ერთი ადგილი მოჰყავს განსვენებულის ხელმწიფის ძმის ნიკოლოზის წერილიდგან, რომელიც 1865 წელს მოუწერია ნიცციდგან: „გიყვარდეთ საშა, ეგ ისეთი სუფთა და წმინდა ადამიანია, როგორც ბროლიო.“ დასასრულ, ვოგიუე ურჩევს თვისს თანამემამულეთ, რომ ეხლავე გარდაწყვეტილს აზრს ნურას დაასკვნითო და ჰკითხავს:

რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე? რა მოგველის მომავალში? ყველა ამას კითხულობს, მაგრამ ამისთანა შეუფერებელი სიტყვები ჯერ არასოდეს არ წარმოთქმულაო, მოთმინება ვიქონიოთ. ისინი, რომლებიც ყველაფერში დარწმუნებულნი არიან, სხვა და სხვა ცნობებს გვაწვდიან, გვიწინასწარმეტყველებენ, სხვა-და-სხვა გარემოების ახსნასა და განმარტებასა სცდილობენ, მსჯელობენ, მაგრამ მართალი კი რომ ვსთქვათ, ამისთანა ბუნდოვანი და გამოურკვეველი საგანი არასოდეს არ აუღიაო სალაპარაკოდ. აბა ჰკითხეთ რუსებს, რომელთაც უფრო გაგებული უნდა ჰქონდეთ თავისი მდგომარეობა. ისანი გიპასუხებენ, რომ სრულიად არაფერი ვიცით. ადვილად შესაძლებელია, რომ ახალმა ხელმწიფემ ამ ორის ერის კავშირის დარღვევა არ მოინდომოს, რადგანაც ეს კავშირი მოქსოვილია საერთო ინტერესებზედ. ჯერ-ჯერობით ამის მეტი არა ითქმისრა. დანარჩენი-კი ცალიერი უბედობაა და ჩვენზედ არაფერი არ არის დამოკიდებული. ჩვენ იმდენად თავ-დაჭერილები და კეთილ-განზრახვისანი უნდა ვიყვნეთ, რომ ყველას ჩვენი მღიერება დავანახვოთ და ვაგრძნობინოთ, რომ უჩვენოდ ვერაფერს გააკეთებენ. ჩვენი ქარაფშუტობა-კი ხელს შეუწყობს ცვლილებათა შემოღებასა, თუკი ამ გვარი ცვლილებანი უნდა იქმნას როდისმე შემოღებული.

**

ამ ბოლოს დროს პეტერბურგში ხმა გაავრცელეს, რომ ვითომ მოსკოველები თავს დაესხნენ პროფესორის ზახარინის სახლსა და მოვაჭრეებმა და სხვებმა მუქარის წერილები გაუგზავნეს ამ ექიმსაო. ამ

## ფელეტონი

### ნაწყვეტები

—

გულო, ნუ სტირი მალ მალე,
დამსხენი ცრემლთა დენასა,
ვიცი, ბედშავი ტანჯვისთვის
გაუჩენიხარ ზენასა,
დე, ნურვინ თანაგიგრძნობდეს,
სცდილობდნენ შენსა წყენასა,
ტანჯულო, მოკვდი ქვეყნისთვის,
ნურვისგან ელი ღხენასა.

დ. მაჩხანელი

### ბეჩავის სიყვარული.

(დასასრული*)

ღვინობისთვის გასულს დიდის ამბით მოვიდა პაპიაანთ სასიძო თავისის მაყრებით. ოც-და-ათი ცხენოსანი და ლომა კამბეჩებით შებმული სადედოფლო ურემი დიდის თავ-მოწონებით და კიჟინით შემოვიდნენ სოფელში; მთელი სოფელი ფეხზედ ადგა და მაყრიონი მიაცილა ნინიკას სახლამდის. არც პაპიაანთ ოჯახი იყო ნაკლებ აყალმაყალში და სამზადისში. ხუთი-ექვსის ურმით მოსული ნათესაობა თავისის წვრილშვილებით ბუზებსავით ირეოდნენ არე-მარეზედ. ხუთი დედაკაცი ლავაშს და პურს აცხობდა, სოფლის მზარეულები საკლავთანა და ქვაბებთან ფაცა-ფუცობდნენ. ბოსლის ოდაში ტოლი გოგოები და სოფლის ახალი პატარძლები სადედოფლოსა რთავდნენ. მარო არხეინად, თავისებურად წყნარად იდგა და თავს ალამაზებინებდა ტოლ-ამხანაგს. არც ერთი შავი ფიქრი არ ანაოჭებდა იმისს ახალგაზდა შუბლს, არავითარი სევდის ფარდა არ ეფარებოდა იმისს მოკრიალებულს ლამაზს თვალებს.

დიაღ, მაროსთვის ყოველ გვარი ფიქრი, ყოველ გვარი წინად მხედველობა შეუძლებელი იყო. ამის გონება, ჯერ ძალიან ნორჩი და მერე შთამამავლობით შეჩვეული მორჩილებასა და ცხოვრების მიმდინარეობის მონებრივ აღსრულებას, სრულ ღრმა ძილში იყო. როგორც ბავშვი, ის მხოლოდ თვალს აყოლიებდა თავისს აწმყოს და მამავლის თვალ-წინ გასწორება, წარსულის შეგნებით გარჩევა ამისთვის ყოვლად შეუძლებელი იყო; ამან იცოდა, რომ ეს აყალმაყალი, ეს სამზადისი, ეს მხიარულება, ეს ახალი ტანისამოსი და მორთულება ამისთვის იყო გამზადებული და გულით უხაროდა.

—

სოფლის პატარა ეკკლესია ოდნავ იყო გაჩაღებული. მღვდელი და დიაკვანი პაპიანთსა, ძრევე ნასამხრევი და ჯვარის საწერ ჯილდოზედ მორიგებულნი, მხიარულად ასრულებდნენ თავიანთს წესსა და მოვალეობას. მაყრები და მექორწინენი ძალზედ შეზარხოშებულნი მაღლა ლაპარაკითა და ოხუჯობით ავსებდნენ ეკკლესიას. ფხიზლად იყვნენ მხოლოდ მეფე-დედოფალი, გაბრო, და მდადე დედაკაცი, რომლის მოვალეობაც იყო დედოფლის დაცვა და ყურის გდება მანამ საქრმოს ოჯახს მთლად და უვნებლად არ ჩააბარებდა.

მეფე კარგი წამოსადეგი შავგვრემანი ვაჟკაცი იყო, მხოლოდ იმის სახეს რაღაც დაღვრემილი შეხედულობა ჰქონდა და თითქოს სიყვარულის ნაპერწკალს, ამ ქორწინების წინამორბედს და სასურველს შუქს, ოდნავაც არ შეეხო ხელი იმის ოც-დასამის წლის ჰბუკ სახისთვის; უგრძნობლად იდგა მაროს გვერდით და თითქოს კაცობის ღირსების დამცირებად მიაჩნდა, რომ საცოლესთვის ერთის თვალითაც არის შეეხედნა. გაბროც მაროს მეორე გვერდით ინდოურივით აბუზულიყო და იმის გაშტერებულ თვალებში ძნელი ამოსაკითხი იყო, რასა ჰგრძნობდა იმის სიყვარულით სავსე გული საყვარელის დაკარგვის გამო; რაც-კი შეიძლებოდა ეკვროდა მაროს და ისიც სტკბებოდა ამ სასურველის კაცის შეხებით, ამ უკანონო სიტკბოებით. ჯვარის-წერა გათავდა, მოძღვარმა მეფე-დედოფალს მიულოცა და ხელი ხელში ჩაუდო. ხალხმა ყვირილი შექმნა: „აკოცეთ, აკოცეთო“! ამ ხმაურობაზედ მეფე გამოფხიზლდა, პირს ღიმილი მოუვიდა და მორცხვად გაუშვირა ტუჩები თავისს ცოლს, მაროც ქალებმა მისწიეს ქმრისაკენ და თავ-ჩაღუნულმა და დარცხვენილმა ლოყა მიუშვირა. «შეგაბეროთ, შეგაბეროთ»! დაიგრიალა ხალხმა და ახლად „გაბედნიერებულები“ გამოვიდნენ საყდრიდგან. აქ რუსუდანი გადაეხვია თავისს „მარჯვენა ხელს“ მაროს და მხურვალედ გადაჰკოცნა: „ვინძლო, შვილო, მაშახელო, კარგი დედაკაცი დაჯდე. მეც მალე გნახავ, ოჯახს დაგითვალიერებ“.

მარომ საშინელი ტირილი მორთო.

— ნუ გეშინიან, სულელო, წლის თავზედ ისევ აქ მოგიყვან. ეხლა მარტო გაბრო მოგდევს, მამაშენს არ შეუძლიან და გაბრო გაგიწევს პატრონობას გზაშიაც და ქორწილშიაც.

—

ურემშიაც მეფე-დედოფალს, მდადეს გარდა, მარტო გაბრო ჩაუსვეს, როგორც ძმა და დედოფლის პატრონი. მეფიაანთსა ქორწილი სამი დღე და ღამე გაგრძელდა. მთელი სამი დღე მეფე-დოფალი თავ-გვირგვინიანი ისხდნენ სამეფო ტახტზედ და თითო საათობით თუ მოახერხებდნენ იქვე დარბაზის კუთხეში თვალის მოტყუებას. სამს დღეს გაბრო გვერდიდგან არ მოშორებია თავისს სატრფოს და მაროც დამტკბარი ამ სიახლოვით სრულიად ბედნიერად სთვლიდა თავსა და მათ შუა სრული ქორწინების საიდუმლოება და ერთ სულობა ჰსუფევდა.

მესამე დღეს ქორწილი გათავდა, ხალხი წავიდ-წამოვიდა, მღვდელმა მეფე-დედოფალს გვირგვინი ახსნ.

*) იხ. «ივერია», № 232.

ხმებსაო, ამბობს გაზეთი „Нов. Вр.“ რასაკვირველია საფუძველი არ ჰქონდა-რა, მაგრამ გაზეთებმა-კი მაინც მოიხსენიესო. მაგალითად „Пет. Вѣдом.“-ს მოსკოვიდგან სწერს ერთი კორესპონდენტი:

ხელმწიფის გარდაცვალების დამეს ხმა გავრცელდა, რომ მთელი ზრბო მოსკოველებისა ზახარინის სახლისაგან დაიძრა, რომ ქვა-ქვაზედ აღარ დაეყენებინათ, მაგრამ ეს ყველა ტყუილია. სახლი ისევ თავისს ადგილას სდგას და დამგლოვიარებულს მოსკოველებს ფიქრადაც არ მოსვლიათ და ენგრიათ იმ კაცის სახლი, რომელიც თავისს ცოდნასა და მეცადინეობას არა ჰზოგავდა მეიროვასის ხელმწიფის სიცოცხლის დასაცველად. ეს ცრუ ხმა მარტო იმისა, ჰმოწმობს, რომ საზოგადოება საშინლად შეწუხებული და დაღონებულიაო.

## უცხოეთი

—

**გერმანია.** ბისმარკის გაზეთ „Hamburger Nachrichten“-ში დაბეჭდილია წერილი ხელმწიფე იმპერატორის შესახებ, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამია: „რა იქმნება, რა პოლიტიკას დაადგება ახალი იმპერატორი და ან რა გავლენა ექმნება ევროპის საქმეებზედაო?“. ესა და ამგვარი საკითხავები იმ ჟამად მთელს ქვეყანას აღელვებს და არც უსაფუძვლოა ეს აღელვება, რადგანაც თვალსაჩინო ცვლილება მოხდა.

ჯერ ჯერობით ახალი მეფე გერმანიისთვის საშიში არ არის. იმ მრავალის ცნობებიდგან, რომელიც ჩვენ ხელთა გვაქვს, დაჰეშმარიტებით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ახალი ხელმწიფე, სხვა რომ არა იყოს-რა, მტრულად მაინც არ მოექცევა გერმანიას. ახლო მომავალში ხელმწიფე შეირთავს გერმანელ პრინცესას, მაგრამ ამას ყურადღებას არ ვაქცევთ, რადგანაც ამ გვარ ქორწინებას არავითარი გავლენა არა აქვს ხოლმე ჩვენს დროში პოლიტიკაზედ. მაგრამ რამდენადაც-კი ცნობილია, ახალგაზდა იმპერატორი თანაგრძნობით უყურებს გერმანიის ერსა და ჯარსა და, ესეც რომ არ იყოს, ახალგაზდა მეფე იმ შთამომავლობას ეკუთვნის, რომელიც აღიზარდა გერმანიის გაძლიერების დროს, და კარგად იცის, რომ გერმანია წინად დანაწილებული, შეერთდა და არასოდეს აღარ დანაწილდება.

მაინცა და მაინც იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახალი ხელმწიფე თავისს მშობლის პოლიტიკას დაადგება, როგორც მანიფესტიდგანაც სჩანს, და ისე წარმართავს რუსეთის საქმეს, როგორც განსვენებული მისი მშობელი მართავდა, და თავისს პოლიტიკის უმთავრესს საგნად რუსეთის ინტერესები ექმნება, და რუსეთის ინტერესები-კი იმასა თხოულობს, რომ უეჭველად დაცულ იქმნას მშვიდობიანობა ევროპაში და გერმანიასთან მეგობრობა, თორემ ძნელად თუ რუსეთმა მიაღწიოს თავისს სურვილს აზიაში და ბალკანეთის ნახევარ კუნძულზედაო. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გერმანიის პოლიტიკაც ხელს შეუწყობს, რომ რუსეთსა და ჩვენ შორის მეგობრული ურთიერთობა დამყარდეს. ეს ჩვენთვისაც სასარგებლო იქმნება, რადგანაც ჩვენს ინტერესებსაც დავიცავთო... ვისურვებთ, რომ რუსეთმა ახალის ხელმწიფის მეთაურობით თავისის სურვილის აღსრულებას მიაღწიოს ც როგორც შინაურს, ისე გარეშე საქმეებში ხელი წარემართოს.

—

**ბოლგარია.** ბოლგარიის ოფიციალური გაზეთი ამტკიცებს იმ ხმას (რომელიც სოფიაში გავრცელდა), რომ ხელმწიფე იმპერატორმა მთავარს ფერდინანდს მადლობა შეუთვალა იმ დეპეშის გამო, რომელიც მთავარმა ლივადიაში გაუგზავნა და რომლითაც თავისს მწუხარებას უცხადებდა რუსეთის იმპერატორის გარდაცვალების გამო. შემდეგ გაზეთი დასძენს: „ღმერთმა ჰქნას, რომ რუსეთის ხელმწიფეს და ბოლგარიის მთავარს შორის გამოცხადებულმა ძმურმა თანაგრძნობამ გზა გაუხსნას ამ ორ ხელმწიფეთა მორიგებასაო“.

## ახალი ამბავი

—

*** 26 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზედ, მოსკოვიდან პეტერბურგისკენ მიმავალი მატარებელი დაეჯახა მეორე მატარებელს და რამდენიმე ვაგონი დაიმსხვრა. მოგზაურთა შორის მოკლულნი და მძიმედ დაშავებულნიც არიან. მოგზაურთა შორის ყოფილა აგრეთვე უწმინდესის სინოდის ობერ-პროკურორი ბ-ნი კ. პ. პობედონოსცევი, რომელსაც არა დაშავებია რა.

*** მამა-დავითის სამრევლო ქალთა სკოლაში 29 ოქტომბერს გადახდილ იქმნა პანაშვიდი მამა მაჭარაშვილის მიერ განსვენებულის ხელმწიფის ალექსანდრე მესამის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდზედ დაესწრენ მოსწავლე ბავშვები, იქაური მასწავლებლები და მრავალნი სხვანი.

*** დღეს ქალაქის მოურავის ბ-ნ იზმაილოვისა, სასანიტარო დასის და სხვა მიწვეულთა თანადასწრებით დესიმონოვის მოედანზედ უფასო სახაიე უნდა დაიარსონ.

*** სატახტო ქალაქის გაზეთები გვაუწყებენ, რომ 25 ოქტომბერს პეტერბურგში დამთავრებულა სამეურნეო გამოფენა და ჯილდოები დაურიგებიათ გამომფენთათვის. კავკასიელ ექსპონენტთაგან მიუღიათ ჯილდონი: საპატიო მოწმობა: გეევსკის (ტფილისი) და ყუბანის საეკონომიო საზოგადოებას; ვერცხლის მედალი: ყუბანის სამასწავლებლო სემინარიას (პირველ-დაწყებით სასწავლებლის ბაღისათვის); დიდი ვერცხლის მედალი (ბოსტნეულობისათვის) — სილოს და ყუბანის სამასწავლებლო სემინარიას; დიდი ვერცხლის მედალი (გამხმარის ხილისა და ბოსტნეულობის გაკეთებისათვის — კონსერვები) თურქესტანოვს და იმის დისწულს თორძეს (დაღესტანი); დიდი ვერცხლის მედალი ღვინისათვის თავადს ანდრონიკაშვილს (ტფილისი) და საპატიო მოწმობა კავკასიის საიბრეშუმო სადგურს (ნიმუშებისა, კოლლექციისა და გეგმათათვის).

*** ტფილისში რამდენიმე სოფლელი კაცია, რომელნიც სადაც და ვისაც-კი მოიხელებენ სცარცვავენ. ესენი დღისით სხვანაირ ტანისამოსს იცმენ და ღამე სხვანაირს. აი მაგალითად 23 ოქტომბერს, შეხვდნენ გზაზედ ალექსი გურინჩიკოვს და მოტყუებით გაიცნეს, მოკეთეებადაც აღმოუჩნდნენ. დაჰპატიჟეს სახლში, ვახშამი გაუმართეს და ღვინოში რაღაც აურიეს, რის გამოც ძალიან ჩქარაც დაითრო და დაეძინა. როდესაც გამოიღვიძა, წასვლა დააპირა, მაგრამ არ გაუშვეს, აქ დარჩი სადილი მიხვალო. მოიხსნა საათი და სტოლზედ დადო, აგრეთვე ტანისამოსიც იქ დააწყო. მეორე დღეს ახალუხი რომ ჩაიცო, ჯიბეში სამი თუმანი (ერთის თვის ჯამაგირი) აღარა ჰქონდა და მასპინძელს უთხრა. ესენი საშინლად გაწყრნენ და უთხრეს: შენ ვინა ხარ, ამ დილით აქ რა გინდაო. გასწი, დაიკარგე, თორემ ეხლავ პოლიციას გამოუცხადებთო, და გააგდეს. ეს ვაჟბატონები სიმონოვის ქუჩაზედ ბინადრობენ.

*** სოფ. აწყური (კახეთი) წრეულს ძალიან კარგი მოსავალია ღვინისა ჩვენში. ამისთანა მოსავალი ხუთი წელიწადია აღარ გვინახავს.

*** სთფ. ბოდბის-ხევი (სიღნაღ. მაზრა) ერთი კაცი ხოლერის მსგზავს ავადმყოფობით გახდა ავად. ეს კაცი განჯიდგან იყო მოსული ბოდბისხევსა და რამდენისამე დღით ტფილისშიაც შეუვლია, სადაც რკინის გზის სადგურს ახლო უცხოვრია. ავადმყოფს ცალკე უვლიან და იმისს სახლს მეთვალყურეები დაუყენეს.

*** ქვემო-მაჩხაანი: ბ-ნ ს. კურცხალიასაგან ახლად დაარსებულ აფთიაქის საქმე ძალიან კარგად მიდის და ძალიანაც ემადლიერება ქვემოქიზიყის ხალხი წამლების კეთილ-სინიდისიერად გასყიდვისათვის და გულ შემატკივრულ რჩევა-დარიგებისათვის. გლეხ-კაცს რომ ავად გაჰხდომოდა ვინმე, მატყუარა მკითხავისაკენ მირბოდა თავის დასაღუპად და დღეს-კი ავადმყოფის პატრონი ამ აფთიაქისაკენ მიეშურება.

—◆◆—

**სიტყვა ქუთაისის ქალაქის მოურავის ბ ნ ლოლუას მიერ განსვენებულ თ. ანტონ ლორთქიფანიძის გვამის დაკრძალვის დროს წარმოთქმული.**

—

როდესაც კაცს გულზედ მწუხარება აწევს ლოდივით, არ არის ადვილი, აზრი შეიკრიბოს და სხვას განუზიაროს; მაგრამ არ შემიძლია ისე დავსტოვო ეს სამარე, რომ ორი სიტყვა არა ვსთქვა იმაზედ, ვინც მას სამუდამოდ უნდა მივაბაროთ.

განსვენებულს ანტონს მე დიდი ხანია ვიცნობდი, იმ დროიდამ, როდესაც იგი ჯერ კიდევ პატარა მოსწავლე იყო ქუთაისის გიმნაზიის პანსიონში. შემიძლია ვსთქვა, რომ ამ კაცის ცხოვრებაში არის ერთი მშვენიერი მხარე, რომელშიაც მას ჩვენ შორის ტოლი არა ჰყავდა.

ცხოვრების გზა არსად არ არის ია და ვარდით მოფენილი და ჩვენს ყველაფერში უკან ჩამომდგარს სამშობლოში ხომ იგი ერთობ ეკლიანი და მტანჯავია მისთვის, ვინც განიზრახავს კაცურად განვლოს იგი. ჩვენი ცხოვრება—კერძო და საზოგადო—თითქო განზრახ არის გამართული მისთვის, რომ განდევნოს სიყვარული და ნაცვლად მისა დანერგოს მტრობა და სიძულილი. ეს ჩვენში არ არის ახალი მოვლენა, არამედ ცხოვრებასთან თანაშეზრდილი ნაკლულევანებაა. ამ უკანასკნელ საუკუნოებში საზოგადო საქმე ჩვენში პირად ნიადაგზედ ტრიალებდა და ნამდვილ აღარც-კი არსებობდა იგი. ჯერ მაშინაც, როდესაც ჩვენის ქვეყნის მოვლა ჩვენს ხელშივე იყო, საზოგადო საქმე მხოლოდ ფარი და იარაღი იყო პირადის ანგარიშებისა

---

და ცოლი ქმარს ჩააბარა.

გაბრომაც, მეტი გზა არ იყო, შესწყვიტა ის მაგნიტიური ძალა, რომლითაც მაროსთან იყო მიჯაჭვული, ცხენი გაიმზადა, მოყვრებს გამოემშვიდობა, ყველაზედ ბოლოს მაროსთან მივიდა და თავ-ჩაღუნული შედგა იმის წინ, არ იცოდა რა ეთქვა, რითი დაეწყო გამომშვიდობება. მაროც ფეხზედ იდგა და მხოლოდ ეხლა პირველად იგრძნო რასაც ჰკარგავდა. მხოლოდ ეხლა აღელვდა იმის გული და მხოლოდ ეხლა მოიაზრა იმის გონებამ, თუ რა სიღრმემდის იყო გაბრო ამის არსებასთან შეერთებული, მთლად ათრთოლდა და ვაებით მივარდა გაბროს და ყელს შემოეჭდო: „მიხვალ, მიხვალ?“ გულის საკლავად ეტუტუნებოდა სატრფოს და ერთხელ კიდევ, მრავალის მოწმების წინაშე, ხანგრძლივ კოცნით შეერთდნენ და შემდეგ სამუდამოდ განშორდნენ ბუნების კანონით შეერთებულნი მიჯნურნი.

—

წლის თავზედ მარო მამის ოჯახში „წლინაწვევად“ მოიყვანეს. პირმოცელ-მოღუშული ის სირცხვილით თავს მაღლა ვერ იღებდა და ყოველ

გაბროს დანახვაზედ ალმური ასდიოდა.

მთელი ერთი წელიწადი ელოდნენ გაბრო და მარო ამ დღეს, მთელი ერთი წელიწადი ის ბრწყინვალე იმედი, რომ ერთმანეთს კიდევ შეხვდებიან, წლის განმავლობის განშორებით გაყინულსა და შეჩერებულ სიცოცხლეს გააახლებენ და დღეს-კი, როდესაც ეს იმედი აუსრულდათ, თვალს ვერ უშტერებენ ერთმანეთს; ამათ შუა მესამე არსება, მომავალი სხვის შვილი იდგა და მისს გზის აქცევა ორთავესთვის შეუძლებელი შეიქმნა. ერთიც და მეორეც ჰგრძნობდა, რომ ძაფი წარსულის ბედნიერებისა სამუდამოდ გაწყვეტილია და გულში მხოლოდ სევდა, სევდა გაფუჭებულის ცხოვრებისა სწამლავდა ამათს არსებას. სიახლოვემ, მწუხარების შემსუბუქების მაგივრად, ერთი ორად გააორკეცა და ნამდვილ ტანჯვად გარდააქცია. გაბრო და მარო ორ უსულო გვამად გარდაიქცნენ, არც ერთსა და არც მეორეს მოძრაობა, ჩვეულებრივის ცხოვრების ტარება აღარ შეეძლოთ. მთელი დღეებით ორივენი, შორი-შორს ერთმანეთზედ, გაშტერებულები ისხდნენ და წაღლობდნენ, დნებოდნენ და ილე-

ოდნენ.

ერთის წლის მწუხარებამ, ერთის წლის განუყრელმა ფიქრმა და გულის ავადმა ამათი გრძნობა გააფაქიზა, გონებას გარკვეული მხედველობა მისცა და დაანახვა, რომ ფიზიკურ სიცოცხლის გარდა, კიდევ რაღაც სხვა სიცოცხლეა, რომელიც ძლიერ სანატრელია, მაგრამ ამათთვის-კი შეუძლებელი და შეუწდომელია.

რასაკვირველია, ეს მდგომარეობა ნინიკას ოჯახში შეუმჩნეველი არ დარჩა: ორი მარჯვე, ოჯახის დედაბოძის გაუქმება გლეხ-კაცის ოჯახისთვის საგრძნობელი დასაკლისი იყო. ამიტომ რუსუდანი დოფაცურდა, ფთილესა და მკითხავებს მიჰმართა და ყოველი მამა-პაპეული სამლოცველო ალოცა თავისი ძვირფასი მარო და მარჯვენა მოშლილი, ოჯახის ბურჯი გაბრო.

— ნეტა რა წყეულმა მომიჯადოვა ეს უმანკო, ჯანითა და სიცოცხლით სავსე შვილები! ნეტა რა თილისმა გაუკეთა მტერმა, რომ ასე დაქსაქსა ცეცხლივით ძრიელი მარჯვენა? დააუძლურა მოუღალავი მუშა, სვინდისიერი ოჯახის წარჩინების იმედი?

რას მიხვდებოდა რუსუდანის გონება, როგორ განსაზღვრიდა იმისი მოკლე მჭრელი თვალი თავისის ძვირფასების სულის მღელვარებას! როგორ გამოიცნობდა ჩვეულებით კარდახშული და დახურული გული, იპოვნიდა თავისს თავში ამათის სიცოცხლის ცეცხლის ჩამქრობს მიზეზს.

—

შემოდგომის ერთს მშვენიერს საღამოს, როდესაც წყნარი ბუნება მოსვენებით გარინდებული სამუდამო ზამთრის ძილისთვის გამზადებულიყო, ნინიკა პაპიაშვილის სახლობა, ხატიდგან მომავალი, ურმით უახლოვდებოდა თავისს სოფელს. ურმის თავზედ იჯდა გაბრო და თავ ჩაკიდული ურმულს დაღიღინებდა:

„ნეტავი მომკლა მე ხის ძირსა,
ფოთოლი დამედინოსა,
მოვიდეს ქალი ლამაზი
თვალს ცრემლი მოედინოსა“.

ჩვეულებრივი სევდიანი ურმული გაბროს ღიღინმა გულიდგან გადმონადუღ მდუღარებად გადააქცია და თვალზედ ცრემლები გამოიწვია ურემში მსხდომ დედაკაცებისა. რუსუდანი ჰგრძნობდა, რომ მაროს სნეულება ...

ცური ალღო ამცნებდა, რომ გაბროს მოთქმის მგზავსი ღიღინიც არ იყო ამ სოფლის ბედნიერებით გამძღარის ვაჟკაცის სიმღერა, და გულით სწუხდა, რომ არც ერთის გაბედნიერება არ ძალუძდა. მარო-კი სტიროდა თავისს ყმაწვილ ქალობას, თავისს გვიან შეგნებულ გრძნობას და მის წაღმა დატრიალების შეუძლებლობას.

ამ მწარე ფიქრებში გართულმა სამმა ადამიანმა ვერც-კი შენიშნეს, რომ ურემი საშინელ დაღმართში დაჰქანდა და თვალის დახამხამებამდე უშველებელ ხლარცში გადავარდა. ერთმა საშინელმა კივილმა გაიელვა მყუდრო საღამოს ჰაერში და ყოველის სიცოცხლის ხმაურობა მისწყდა; თითქო ცამა-და-დედამიწამ ჩაყლაპა ურემიცა და შიგ მსხდომი დედაკაცებიცაო.

ნახევარ საათის შემდეგ გაბრომ თვალი გაახილა, მალე მოიაზრა თავისი საშინელი მდგომარეობა და საჩქაროდ ფეხზედ წამოდგა. მუხლები, წელი საშინლად უელავდა, თავი გაბრუებული ჰქონდა დაცემით, მაგრამ ყურიც არ ათხოვა თავის ტკივილს და დიდის ვაი ვაგლახით გადააბრუნა ... ურემი და გულ-

და მიზნების მისაღწევათ, და ამ საუკუნეში, მას შემდეგ, რაც ეს მზრუნველობა თავიდამ მოვიშორეთ, მისი ხსენებაც აღარ იყო ჩვენში და ჩვენი ხალხი სრულიად კერძო ინტერესების მორევში ჩაყურყუმელავდა. მხოლოდ ამ უკანასკნელ 20—30 წლის განმავლობაში გაგვიჩნდა აქა-იქ საზოგადო მოქმედების ასპარეზი; მაგრამ ჩვენი საზოგადოება გამოდგა მოუმზადებელი, მცირე მისი მანათლებელი წრე გამოუცდელი, თავი იჩინეს ძველთა ნაკლულევანებათა, თითქოს მიძინებულნი იყვნენ და გაიღვიძესო, და ჩვენი საზოგადო მოქმედება რაღაც სამოქალაქო ომს დაემსგავსა. აი ჩვენის ცხოვრების სურათი.

ამისთანა ცხოვრების გზაზედ ძნელია კაცს გული არ გაუტყდეს და კაცის სიყვარული შერჩეს. რომელს ჩვენგანს არ განშორებია ამ გზაზედ ძმა და გულითადი მეგობარი? ვის არ დაუკარგავს უწმიდესი თავისი რწმენა და საუკეთესო იმედები? მაგრამ იყო ჩვენ შორის ერთი, რომელიც თითქო ხელიდამ დაუსხლტა ამ კაცის სიცოცხლის მომწამვლელს წესს,— ეს კაცი იყო ანტონ ლორთქიფანიძე.

ესეც ჩვენის ქვეყნის შვილი იყო. ჰქონდა პირადი ანგარიშები და ინტერესები, როგორც ყველა ჩვენ, ოფლით მოიპოვებდა პურსა თვისსა. რაც შეეხება საზოგადო საქმეებს, რაც საზოგადოებაში ფეხი შემოუდგამს, არც ერთს იგი არ მოჰკლებია. როგორც კეთილ-შობილი საზოგადოების წევრი, იგი ყველა მისს საქმეებში მხურვალე მონაწილეობას იღებდა. დიდხანს ყოფილა ბანკის ზედამხედველად, კომიტეტი, წევრად და საზოგადო კრების თავმჯდომარედ, დიდხანს ყოფილა ქალაქის საბჭოს ხმოსნად და გამგეობის ქალაქის მოურავის სამაგიერო წევრად, მისს მონაწილეობას არ მოჰკლებია სკოლა, თეატრი და წიგნთ-საცავის საქმე, ერთის სიტყვით, არ გაჩენილა იმისთანა საზოგადო საქმე, რომელშიაც მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოს, არ გამართულა საზოგადო საქმისათვის ბრძოლა, სადაც იგი მებრძოლი არა ყოფილიყოს და გაცხარებულადაც არ ებრძოლოს. მაგრამ არავის არ ახსოვს საზოგადო ან კერძო შეხედვისა გამო მისი გული ვისმეს დაეკარგოდეს. შემოქმედს მისთვის მიუცია განსაკუთრებული ნიჭი სიყვარულისა და მიტევებისა. იყო მართივი, წრფელი, იცოდა თვისის შეცდომებისა და დანაშაულის ცნობა და გული მისი ყველასათვის უცვლელი იყო. მაგიერში იმასაც იმავე საწყაულით მიაგებდა ყველა: ყველას უყვარდა იგი, არას დროს მეგობრის გული მისდა მიმართ არ გატეხილა, არავისი გული მას არ დაჰკარგვია. რაც უნდა მწუხარება გულზედ გწოლოდა, რაც უნდა ჯავრი გქონოდა, საკმაო იყო მისი გაშლილი მოცინარი პირის სახე დაგენახა, რომ გულიდგან სევდა გარდაგცლოდა და მტრულად შეტაკების სურვილი მეგობრულ შეყრად შეგცვლოდა. მე მეორე არ ვიცი ჩვენ შორის, რომელსაც ამდენი მიტევება შესძლებოდეს და რომელსაც ამდენი მიტევება მიეღოს, როგორც ამ ადამიანის კეთილ გულს. კაცის სიკვდილი ყოველთვის საწყენია კაცისათვის; მაგრამ ანტონის უდროვოდ დაკარგვამ ყველა ერთობ შეაწუხა, ყველას გული გვატკინა. აი კეთილი გული და მისი პატრონი, რომელიც ამ სამარეს უნდა მივაბაროთ.

მშვიდობით, ძვირფასო მეგობარო ანტონ, შენისთანა მოღვაწე და კეთილი გული ღმერთმან შენს საყვარელს სამშობლოს ნუ მოაკლოს, და ხსენება შენი საუკუნოდ იყოს ჩვენ შორის!

## ჩიორას და ქალების პასუხად

მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ბ-ნს ჩიორას თავისს წერილში აზრადაც არ ჰქონია ქალებისათვის საყვედური ეთქვა, რადგანაც თიონაც ძალიან კარგად იცის, რომ არც ქალების ბრალია და არც კაცებისა ჩვენის ენის ამ ჟამად გადათრინჯვა. უეჭველია, ბ-ნ ჩიორას ერთად-ერთი სურვილი ის იყო, რომ ჩვენი ქალები გამოეწვია სალაპარაკოდ, ქართულს ენაზედ წერით გასავარჯიშებლად. ამიტომ ბ ნი ჩიორა ჩვენგან მადლობის ღირსიც არის.

ხოლო რაც შეეხება ქალების მიწერ-მოწერას, აქედგან-კი ის დასკვნა გამოვიყვანე, რომ ეს ქალბატონები მარტო ერთმანეთის ყვედრებაში ყოფილან. არ გვეკუთნის ერთმანეთის ასეთი კიჟინი; მართალია, თუმცა კაცები უფრო მეტის ცოდნითა და განვითარებით არიან შეიარაღებულნი, რის გამო აუცილებლად მეტი ბრალიც ედებათ, მაგრამ მაინც ჩვენ, ქალები, არავის თვალ-წარბში არ უნდა შევცქეროდეთ.

ქართველი ქალები მტკიცე ხასიათითა და გრძნობით უნდა აღვიჭურვნეთ და ვისაც რა აზრი გვაქვს ქართულ, საზოგადო საქმის გასაუმჯობესებლად იმ აზრს შევმსხუროთ, მტკიცედ დავიცვათ და არ დავემონოთ საზოდადოდ შედგენილს შემცდარს აზრებს.

ქ-ნი საგინაშვილისა ჰბრძანებს: „შინ წიგნის კითხვისა და სახლის მოვლის მაგივრად, „ლოტო-ვეჩრებში“ დავდივართ და გათენებამდის იქ ვატარებთ დროებას, სადაც ხან-და-ხან თუმნობითაც ვაგებთ. სრულიად არ ვეთანხმები ქ-ნ საგინაშვილისას, რომ უმრავლესობა აგრე იქცეოდეს. რამოდენათაც დავკვირვებივარ ჩვენს ქართველ ქალებს, ქალაქად თუ სოფლად, ყველგან შემინიშნავს, რომ ქალებს დიდი სურვილი აქვთ ყოველ საზოგადო საქმეს ემსახურონ და ქართული ენაც შეისწავლონ. თუმცა ბევრი მათგანი თავისს აზრს ვერ ეწევა ხოლმე, რადგანაც ზოგს მდგომარეობა ძალიან უშლის ხელს და ზოგს მხნეობაც არა აქვს იმდენი, რომ ყოველი დამაბრკოლებელი მიზეზი დასთრგნოს. აგრეთვე მე ვიცნობ რამდენსამე ისეთს ქალსაც, სხვა-და სხვა მივარდნილს ადგილებში მცხოვრებთ, რომელთაც საოცარი ზნეობრივი გავლენა მოუხდენიათ იმ სოფლებში. (თუ საჭირო იქნება და მომთხოვენ, რამდენსამეს კიდეც დავასახელებ). რა-კი ჩვენს ქალებს შორის ამისთანაებს, ვიცნობ, ამიტომ ისე არა მაქვს გატეხილი გული, როგორც ქ-ნ საგინაშვილისას.

ეხლანდელი ჩვენი დრო ქართულის ენის შესახებ არც ერთს წარსულს ხანასთან არ არის შესადარებელი და თუ ჯერ ჯეროვნად წმინდად ვერ ვიცავთ ჩვენს ენას, ბევრი სხვა-და-სხვა მიზეზის გამო, მკაცრის დასჯის ღირსნი არა ვართ. გაივლის ეს დრო და იმედია, ჩვენი ენა ისევე წმინდად და შერყეულად შეგვრჩება, ამას გარდა, ჩვენი მომავალი ახალი თაობაც უფრო მეტის განათლებითაც იქნება აღჭურვილი და მაშინ ნამდვილს, სასურველს დონეზედ დადგება ჩვენი ქართველი საზოგადოება.

ეხლა-კა ვეცადნეთ ქალნიც. და და კაცნიც ყოველ საზოგადო საქმეში პირადობა დავივიწყოთ და და ძმურად გავუწოდოთ ერთმანეთს ხელი. აი, ამ ჟამადაც ძალიან საჭიროა ჩვენი ერთ-ძალოვანი დახმარება ქუთაისის თეატრის აღსადგენად. იმედი მაქვს, რომ ყველა ქართველი ქალი თუ კაცი, ქალაქში თუ სოფლად, გულ-მხურვალედ მოეკიდება ამ საზოგადო საქმეს.

მარიამ დემურია

## კორესპონდენცია

**გურია**, 26 ოქტომბერი. დადგა ისეთი დრო, რომ გლეხმა წლის სარჩო უნდა შეინახოს და დაიწყო ძლიერ ცუდი დარები. გავიდა მთელი ზაფხული და აგერ შემოდგომაც მიდის, რიგიანი დარები არ გვღირსებია, რის გამოც: სიმიდი, ღომი, ყურძენი და ლობიო არ შემოვიდა.

ჩვენში იშვიათია ისეთი გლეხი, რომ თავისი საკუთარი სახნავ-სათესი მიწა მოეპოვებოდეს. მიწის უქონლობის გამო ძლიერ გაჭირვებულნი არიან, მდიან გლეხები ექვსი თუ შვიდის ვერსის მანძილზე და მემამულეების მიწას „სანადელოდ“ ჰმუშაობენ; ხდებიან მემამულეების ყურ მოჭრილ მონად. ძნელი წარმოსადგენია ის გაჭირვება, რომელსაც მემამულეები საცოდავ მიწის მუშა გლეხებს აყენებენ.

წელს ჩვენში ისე გავიდა მთელი ღვინობისთვე, რომ ცა ერთს დღესაც არ მოწმენდილა. გამუდმებულად სწვიმდა. გლეხები ჰხედავდნენ, რომ ავდრის გამო წლის სარჩო ელუპებოდათ და წვიმიან დღეებშიც მუშაობდნენ. ოთხი დღეა, რაც გლეხმა სიმინდი კალოდ გააკეთა. უყურებს ადგილის პატრონს, როდის ინებებს სიმინდის გარიგებას და «საყანურის» მირწყვას. ჯერ ადგილის პატრონმა არ ინება სიმიდის გარიგება. საქონელმაც დრო იშოვა და დამშვიდებულად დაუწყო ხვრა გლეხის ექვსის თვის ნაშრომს.

წელს ჩვენში მოსავალი ძლიერ ცოტა იყო, შარშან რომ გლეხს ერთს ქცევა მიწაზედ ასი ფუთი სიმინდი მოუვიდა, წელს ორმოციც არ მოსვლია და რაც მოუვიდა, ისიც ნედლი. გურულების უპირველესი სახსარი სიმინდი იყო, სიმინდით აკმაყოფილებდა ყოველ გვარ მოთხოვნილებას და წელს რაეშველებათ, არ ვიცით. «ჩხავერს» დიდი ხანია გამოვეთხოვეთ და „ჩხავერის“ ნაცვლად „იზაბელლა“ გვქონდა. ეტყობა, რომ ამასაც ადრე გამოვეთხოვებით.

ღვინელაელი

**ს. ბანოჯა** (იმერეთი), 25 ოქტომბერი. ღმერთმა იცის, როდის მოვალთ გონს ბანოჯლები და როდის გვეღირსება ქართული სასწავლებელ-სამკითხველო და სასოფლო ბანკი.

ჩვენი სოფელი ყველა ამას მოკლებულია, ამას გარდა, ეკკლესიის კედლები დახეთქილია, არც სამრეკლოა შესაფერი. სასწავლებლის სახლი-კი გვაქვს, მაგრამ რა გამოვიდა, ცალიერი კედლებია, არც ფანჯრები აქვს და არც კარები, ფრინველები თავისუფლად დაფრინავენ შიგ. ქუჩები სულ გაფუჭებულია, წვიმიანს დღეებში მეტადრე ზამთარში, აქ უცხენოდ გავლა ძალიან ძნელია, ადლზედ მეტი ტალახი დადგება ხოლმე.

მადლობა ღმერთის, რომ ამ სოფელში ავადმყოფობა სხვა-და-სხვა გადამდები სენი ძალიან ნაკლებად იცის, თორემ თქვენი მტერია, ავადმყოფი

---

შემოყრილი დედა-კაცები მოაბრუნა; მოაბრუნა, მაგრამ ვაი ამ მობრუნებას, მარომ ფეხი ველარ გადასდგა, საშინელი ტკივილი იგრძნო და წივილ-კივილი დაიწყო. ღერძი ორს ალაგას იყო გადამტვრეული, ურმის შებმა შეუძლებელი-ღა გახდა, მეტი გზა აღარ იყო, გაბრომ ხელში აიყვანი მარო და გზას ისე გაუდგა.

მთელი სამი დღე სტკიოდა მაროს მუცელი და ხსნა-კი არსაით იყო. იმის საშინელი გულის გამგმირი, გონების შემარყეველი გმინვა თავს ბრუს ახვევდა გაბროს, გულს ნაწილ-ნაწილად უგლეჯავდა; ოჰ, ღმერთო, ღმერთო! რა ვქენ ეს? მე მოვკალ, მე! ჩემის ხელით, ჩემის გამოშტერებულის თავი... ღმერთო, ნუღარ გამაგონებ იმის ხმასა და სიმწარით კბილებს აკრაჭუნებდა, ხელებით მიწასა ჰბღვდნიდა და მისი ვაება თითქო ამის გულში ერთი ორად ძლიერდებოდა.

ხალხი ბუზივით შედიოდ-გადიოდა, ყველა თავისს ცოდნას იჩენდა და შელონებულს ახმარებდა. გამოშტერებული, გონ-მიხდილი ხნიერებითა და ბევრის არაყის სმით სოფლის ბებია ყველას რჩევას უგონებდა და ხან ფეხებიდგან ჰბერტყდა და ხან თავიდგან ტკივილებით წამებულს მშობიარეს.

— ღმერთო მამკალ... მამკალ... ხრიალებდა საცოდავი მარო, მამკალ.. ამაზედ მეტი აღარ შემიძლიან! ღვთისმშობელო, დამიხსენ... დედა რად გამაჩინე ქვეყანაზედ?.. დედა... მოვკვდი... მიშველეთ...

თმა-გაწეწილი, ლოყებ ჩამოფხრეწილი რუსუდანი მელოგინეს ფეხთით უჯდა და საშინლად მოსთქვამდა: შვილო შვილო, რად დამწვი, შვილო, ცეცხლი რად გამიჩინე. რა გიშველო, რა? მე ვაგლახმა, მე უბედურმა, ხალხნო, ჯამათნო, შეგვიბრალეთ, დაგვეხმარეთ, ნუგეში გვეცით.

მაგრამ ნუგეში არსაით არ იყო. დიდი პატარა სტიროდა და ავადმყოფის ყურებით თმები ყალხზედ უდგებოდათ.

თმებ-გაწეწილი, თვალებ გაჭყეტილი, ხელებ გაპარჭყული მარო სიმწარით სისინებდა, ტუჩებიდგან კბილის მოჭერით სისხლი სდიოდა...... „მიშველეთ.... მიშველეთ!!! იძახდა და ყველას ხელებში შესცქეროდა, იქნება საშველი მოჰქონდეს რამეო, მაგრამ საშველი არსად იყო.

მესამე დღეს მაროს ხმა გაუწყდა. სისუსტით ველარ იძროდა და მხოლოდ სახეზედ აღბეჭდებოდა ის საშინელი ტანჯვა და ცეცხლი, რომელსაც მხოლოდ გაჭირვებული მშობიარე ჰგრძნობს. თვალები სისხლით აევსო, ტუჩები გაულურჯდა და, პირგაღებული, სუნთქვა შეკრული, ყელში-ღა ხრიალებდა. ხალხიც დაწყნარდა, ჩაჩუმდა და უფრო საშინელმა მწუხარებამ შეიპყრო აქაურობა. ჩამი-ჩუმი აღარსად ისმოდა, მხოლოდ რუსუდანის გულის კვნესა-ღა გაისმოდა ხან-და-ხან ღამის სიბნელეში. გაბოლილი პატარა ლამპარი კერის პირას, ოდნავ ანათებდა სულთ-მობრძავის უკანასკნელს სადგურს.

— გაბრო... გაბრო... მოისმა ჩურჩულით წარმოთქმული ტანჯულის ხმა.

— გაბროო!.. გაბროო!.. გაიმეორეს ყველამ და საჩქაროთ ფეხზედ წამოცვივდნენ.

გაბრო ბნელის კუთხიდან გამოვიდა და სამოცის წლის მოხუცებულივით წელში მოხრილი, თმებ-აბურძგნული, საყელო ჩამოგლეჯილი და გულზედ ხელდაკრებილი ავადმყოფის სარეცელთან მივიდა. მარომ თავისს განივრად გაჭყეტილი თვალები დააშტერა გაბროს, შემდეგ ამოიკვნესა და მდუღარება გადმოჰყარა:

— სწუხარ რომ ვკვდები?... საწყალო... მაგრამ განა მე შენთვის მაშინ არ მოვკვდი, როდესაც სხვას მივყავდი? რად დამანებე... რად, ჩემო ყველოვ... ჩემო პირის მზევ.... ჩემო სულის იადონო... ხელი მამე.. ახლო მოდი... ახლო. გაბრომ დაიჩოქა და ავადმყოფს გულზედ დაემხო.

მარომ წამოიწია, ყელს ხელები შემოჰხვია და ძალზედ გაიჭიმა, გააქრქალა, პირი-სახე დაბრიცა და უსულოდ ისევ ძირს დაეშვა. გაბრო დაჩოქილი იდგა მაროს გვამზედ პირქვე დამხობილი, გარეშემო ყველა სულ განაბული შესცქეროდა ამ საცოდაობას და გულით თრთოდა.

გაბრომ უცებ იგრძნო, რომ მაროს გული შესდგა, ხელი გაშეშთა, თვალებს ბინდი გადაეკრა, შიშით ზეზედ წამოხტა და ღიმილით წამოსთქვა:

— მორჩა, მორჩა!...

—

გავიდა დრო და ჟამი. პაპიანთ ოჯახი სულ ერთიან დაირღვა. ნინიკა დაბერდა და დაბაჩუნდა. რუსუდანს მაროს ტანჯული სიკვდილის შემდეგ გულის ყრა დასჩემდა. უპატრონო საქონელი მგლისა და ავის კაცის მსხვერპლად შეიქმნა. ამაყად წამოჭიმული ნინიკას მუხი-გულის დარბაზი გვერდზედ გადაიზნიქა. აყვავებული არე-მარე ნიავქარმა ქვეყნის ნაგვის სავერანოდ გადააქცია; მაგრამ ყველა უბედურების დამაგვირგვინებელად ბედმა პაპიანთ ოჯახს ჰკუაზედ შეშლილი გაბრო გაუხადა: გაბრო მხნე, გაბრო ბრგვე, სათნოებით სავსე გაბრო უსულო გვამად იქცა და ოჯახის მომწამლავ, მომწყვლელ და სავარამოდ გააწესა. გაბროს სევდით მიღრღნილმა სხეულმა იმის შიშითა და მწუხარებით ატაცებულმა სულმა, სატრფოს წამებრივ გარდაცვალება ვერ აიტანა და ჰკუაზედ შეიშალა.

„მაროო, მარო, უნდა ქმარს ჩაგაბაროო“ აი ერთად ერთი სიტყვა რომლის გამოთქმა-ღა შეეძლო სრულიად გაწყალებულს ტვინს საცოდავისას. მხოლოდ ამ სიტყვებით-ღა აქვს კავშირი გაბროს ადამიანებთან, სხვაფრივ სრულიად გაველურდა, ტყის ნადირს დაემსგავსა, შიშველი ტიტველი, მზისა და ქარისაგან კან-დამწვარი და პირუტყვივით ბალან-შესხმული, ჯოხით ხელში დადის გაბრო სოფელ სოფელს და თავისის შესახარის შეხედულობით ბევრის მშობლის გულში სძრავს ფიქრს სინანულისასა და შორს-მხედველობისას.

ეკ. გაბაშვილისა

მკურნალი არ ეღირსოს, თუ თითონ არ წაიყვანეს მკურნალთან ქუთაისში. ქუთაისიდგან თუმცა სულ ოთხის ვერსის მანძილზე იმყოფება სოფ. ბაღოჯა, მაგრამ ქუჩები იმდენად გაფუჭებულია, რომ ეტლს არ შეუძლიან სავლა, და ამისათვის მკურნალი უნდა ცხენით მოიყვანონ, როცა საჭიროა. 25 მანეთი უნდა სახლში მიართვათ წინდაწინვე და მერე იკადრებს ცხენზედ შებრძანებას? ამდენის ფულის კადება გლეხს, ავადმყოფის პატრონს, არ შეუძლიან და ბევრი ავადმყოფი რჩება უექიმოდ, ღვთის ამარა.

ამ სოფელში მცხოვრებთა რიცხვით 220 კომლს აღემატება, თითქმის სულ გლეხ-კაცობა არის, მაგრამ ათს მოსახლეში ერთს ვერ ჰნახავთ, რომ თავისს დედა-ენაზედ წერა-კითხვა იცოდეს, (სულ ქართველები არიან) და სხვა ენაზედ ხომ სულ არ იციან-რა. ხალ-გაზდობა ვინც არის აქა, დაფა ზურნასა და არღნებზე თამაშშია გართული. აქაურ გლეხს რომ უთხრა: წაიყვანე შენი შვილი და მიაბარე სადმე სასწავლებელშიო, გიპასუხებს: რავქნაო, აქ ვერ მოვიხერხეთ „კლასის“ გაღება და სხვაგან, ჯერ ერთი შვილის მოშორება არ შემიძლია და მეორეც, ბრევლი ხარჯიც უნდაო, მე სად მაქვს იმოდენი შეძლება, რომ ყველას გაუძლოო“.

ამბესალომ ზ—ძე.

## რუსეთის ცხოვრება

წელიწად-ნახევარია მას აქედ, რაც მთავრობას საშინაო-მრეწველობის ბანკის პროექტი წარედგინა. იანვარში ამ ბანკის დაარსების ნება-რთვა გამოვიდა და აპრილში შეუდგნენ კიდეც ბანკის შემწეობით პერმის გუბერნიაში სესხის გაცემას. იანვრიდგან აპრილამდე ბანკის დამფუძნებელნი იმას მოუნდნენ, რომ ხალხში ავრცელებდნენ ბანკის დაარსების ამბავს და ეძებდნენ ისეთ კაცებს, რომელნიც მოისურვებდნენ ბანკსა და შინა მრეწველთა შორის შუამავლობა გაეწიათ. აგერ 9 თვე არის რაც ბანკი ჰმოქმედობს, და ამ მოქმედების წარმატება ცხადად ამტკიცებს, რომ ხალხს შეუგნია როგორც ხასიათი ბანკისა, ისე ის სარგებლობა, რომელიც ამ ნაირ დაწესებულებას უეჭველად თან მოსდევს. ბანკს საგნადა აქვს ფული შინამრეწველს მიაწოდოს და ამით მოვახშეები ააშოროს. მრავალია სოფელში ისეთი გლეხ-კაცი, რომელიც როცა მინდვრებში მუშაობას გაათავებს ხოლმე, თავისუფალ დროს იმას ანდომებს, რომ თითონ და მთელი იმისი ოჯახი სახლში ისეთ რასმე აკეთებს, რასაც ბაზარი აქვს და ჰყიდის. ხშირად ამ ნაირ გლეხ-კაცს ფული აკლია ხოლმე და რადგან ვერსად უშოვია, იძულებულია უსაქმოდ იჯდეს და თუ იშოვა, ისეთის ძნელის პირობებით ჰშოულობს, რომ ეს შინა მრეწველობა. სარგებლობის მაგიერ, ზიანსა სძენს. აი ამათთვის არის გამართული ზემომოხსენებული ბანკი და, რაღა თქმა უნდა, დიდს სარგებლობასაც მოიტანს. ბანკს ძირის ფულად 114,202 მანეთი აქვს. „Новое Вр.“ კორესპონდენტი ამბობს, რომ ამ ბანკს დიდძალი ხალხი მიაწყდა და მალე ძირის ფული აღარ იკმარებს, თუ არ მოუმატესო. სესხს დიდის სიფრთხილით აძლევენ. სესხის ამღებმა დასამტკიცებელი საბუთი უნდა წარმოადგინოს, რომ იგი მართლა შინა—მრეწველია, რომ მარტო შინაურების დახმარებით აკეთებს ამა თუ იმ ნივთს, და დაქირავებულ მუშებს, არ მიიშველებს ხოლმე. თუ მუშები ჰყავს, სესხი არ ეძლევა. ბანკს აგენტები ჰყავს, რომელთაც უნდა გაიგონ ყოველი გარემოება სესხის ამღებისა: უყვარს მუშაობა თუ არა, შეუძლიან სესხის დაბრუნება, რისთვისაც აიღო სესხი, მართლა იმას ანდომებს თუ არა და სხვ... აგენტობა ბევრმა უსასყიდლოდ იკისრა; ამათ შორის არიან, ერობის უფროსნი, გარდასახადთა ინსპექტორები, აგრონომები, მასწავლებლები, ექიმები და სხვ.

—

გაზეთ „Русская Жизнь“-ის სიტყვით, მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის სტუდენტებს უთხოვნიათ თვისის რექტორისათვის, ნება მოგვეცით ხელმწიფე იმპერატორის კუბოზედ დასადებ გვირგვინისათვის ხელის-მოწერა გავმართოთო. ბ-ნს რექტორს ნება დაურთავს და სტუდენტებს დავთარი შეუდგენიათ, რომელშიაც მსურველები ხელს აწერენ. ეს გვირგვინი სტუდენტების სახელით იქმნება გაგზავნილი.

—

სატახტო ქალაქი სამგლოვიაროდ ირთვება. არა მარტო უმთავრესს ქუჩებს, არამედ ქალაქის განაპირა ადგილებსაც სულ სხვა, განსაკუთრებული შეხედულობა აქვს. ფარნის ბოძები, შესავალი კარებები და კრონშტეინები შემოსილია შავებით, კედლებზედ სამგლოვიარო ფარს აკეთებენ, აივნები და სახლის შუბლები შემკულია შავის სამგლოვიარო ხვეულით, რომლის ქვეიდგანაც ჩამოშვებულია თეთრი ტილოები შავის წინწკლებით. სახლების სათავეზედ, და გუმბათებზედ გაუკეთებიათ დიდი სამგლოვიარო ბაირაღები. უფრო მძიმე შავებით დაფარულია სახლებში და მაღაზიებში შესავალი კარებები და მაღაზიის ფანჯრებში გამოფენილია გვირგვინებისათვის მომზადებული სურათები განსვენებულის იმპერატორისა. ქალაქის გამგეობა უკვე შეუდგა ქუჩების სამგლოვიაროდ მორთვას ნიკოლაევის სადგურიდგან პეტრე-პავლეს საკრებულო ტაძრამდის.

## შემოწირულებანი

—

ჩვენ მივიღეთ ნეოფიტე ჩხენკელის ასულისა და ვანო გეგიასაგან დ. ოქუმს შეკრებილი ოც-და-ცამეტი მანეთი, ოცი მანეთი სალიტერატურო ფონდის სასარგებლოდ და ცამეტი მანეთი განსვენებულ ალექსანდრე ყაზბეგის ფონდისათვის. სალიტერატურო ფონდისა გვქონდა 1215 მან. 29 კაპ., ამითი შესდგა 1235 მან. 29 კაპ.

აქავე ვბეჭდავთ შემომწირველთა სიას: სპირიდონ ნოაკიძე 5 მ., დიმიტრი კაკაბაძე 3 მ., პავლე გეგია 3 მ., მღ. პარმენ ფარყიშვილი 1 მ., მღ. ზოსიმე ჩხეტია 1 მ., მღ. რომანოზ ჭალაკანიძე 1 მ., თომა ელიავა 1 მ., სანდრო ფრანგულიანცი 1 მ., ელიზბარ ვარდანია 1 მ., ვასილი კაკაბაძე 1 მ., გრიგორი აქირთავა 1 მ., ოქროპირი ჭოჭუა 1 მ., კრილე გეგეჭკორი 1 მ., ლევან გუგუნავა 1 მ., თეიმურაზ დემურია 1 მ., მალხაზ კიზირია 1 მ., დიტო პაპასკირი 1 მ., მიხაკო კვაძე 1 მ., ნიკოლოოზ ჩიხლაძე 1 მ., ანტონ გალდავაძე 1 მ., ბესარიონ კახიანი 50 კ., მიხაილ ადამია 50 კ., პატუხუ კაკუბავა 50 კ., დიმიტრი ინალიშვილი 50 კ., თეიმურაზ გეგია 50 ., არსენა ანჯაფარიძე 50 კ., გიორგი ქარდავა 40 კ., ტაგუ კვარაცხელია 50 კ., პლატონ ჯანჯღავა 40 კ, გიორგი გვეგესკირი 40 კ., ყარამანი შენგელია 20 კ., და პროკოპი ჯინჯიხაძე 20 კ., სულ 33 მანეთი.

პეტერბურგის ბირჟა, 31 ოქტომბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,40 | 7,43 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 147³/₄ | 148¹/₂ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | 242 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 220 |
| 4°/₀ მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 191¹/₂ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6°/₀ . . . . . | 101 | — ,, | — ,, |
| 5°/₀ . . . . . . | 98³/₄ | — , | — ,, |
| ქუთაისის ბანკის 6°/₀. | 101 | — ,, | — ,, |
| 5°/₀. . . . . . | 99 | — ,, | — ,, |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98¹/₄ | — ,, | — ,, |

## „ივერიის“ ფოსტა

—

**ღვთის-მლოცველს:** თქვენი პირველი წერილიც მივიღეთ, აწყობილი იყო კიდეც, მაგრამ რედაქციისაგან დამოკიდებელ მიზეზით ვერ დაიბეჭდა. ჩვენ ნურას დაგვემდურებით.


# „ივერია“

ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

## ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან 7¹/ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.



# განცხადებანი

კბილის ექიმი

## ვ. ი. ჭიჭინაძე

(მიხეილის ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79)

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდგან, ნაშუადღევის 2 საათამდის და საღამოს 4—6 საათამდის.

რთულის ოპერაციის დროს დაესწრება ექიმი ი. ს. ელიაშვილი.

(50—6.—26)

იყიდება ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში.

ქუთაისში: ი. ხეჩერელისა და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში ბ. კალანდაძესთან.

განჯაში დ. ქვლივიძესთან.

ახალ-სენაკსა და ოზურგეთში კ. თავართქილაძესთან.

## ქრისტინე

მოთხრობა

ე. ნინოშვილისა

გამოცემული

პ. გოგუაძისა და დ. ქვლივიძის მიერ

ფასი ერთი აბაზი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—11¹/₂—12¹/₂ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12¹/₂—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1¹/₂ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7¹/₂ საათამდის.

გ. ი. ფრანცეუსი, 7—7¹/₂ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერაფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისაგან

გამგეობა ტფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისა ამით აცხადებს, რომ უძრავი მამულები ქვემოდ დასახელებულ პირთა, მიღებულნი გირაოდ ბანკში, დანიშნულნი არიან, თანახმად წესდების 14 §, საჯაროდ გასასყიდად, რადგან ამ ბანკის წესდების ძალით სავალდებულო გარდასახადი პატრონებისაგან არ არის შემოტანილი.

გასყიდვა არ მოხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ხვედრს გარდასახადს შემოიტანენ.

### ძველი კატეგორიისა.

ა) ქალაქის მამულები.

ბეთანოვი სტეფანე ივანეს ძე. ორსართულიანი ქვითკირის სახლი და ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი ყოველ გვარ მოწყობილობით, მიწით და ეზოთი, ზომით სიგრძით 28 და სიგანით 13 საჟენი, ქ. ახალციხეს.

ოპოჩინინი პეტრე ალექსის ძე. სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ორ-სართულიანი ფლიგელით, შენობებით და მიწით, ზომით 313³/₄ ოთხკუთხი საჟ., მე-4 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, სოლოლაკში.